ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №11

ქ. თბილისი 21 მარტი 2012 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე არისი ბოჭოიძე

კომისიის აღმასრულებელი
მდივანი კახაბერ ნიაური

კომისიის წევრები: ნინო გვენცაძე, დავით მახარობლიშვილი, დავით აბულაძე, გიორგი ჩაჩანიძე, ნიკოლოზ ჩხაიძე.

მოწვეულები: ო. ჯაფარიძე, კ. იაშვილი, ნ. მაღალაშვილი, ჯ. საჯაია, ლ. ყავლაშვილი, ალ. ჩიკვაიძე, რ. ტყემალაძე, მ. გვარჯალაძე, დ. გოგელაშვილი, ნ. გვალიშვილი, ჯ. მესხია, ვ. ხვიჩია, მ. გვილავა, ლ. ჩოხელი, ვ. ვარდიძე, თ. ზანდარაშვილი, გ. ჩონელიძე, კ. ძლიერიშვილი, მ. ნოზაძე, თ. ხუნჯუა, ჯ. პაქსაშვილი, რ. მკრტიჩიანი, ა. სულაძე, დ. კეკელია, მ. მურღულია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გოგებაშვილის ქ. №29-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.033.013) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ო. ჯაფარიძე).

2. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.05.010.043) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ.

(მოწვეულები – კ. იაშვილი, ნ. მაღალაშვილი).

3. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ა. წერეთლის გამზირზე, ვ. ბაგრატიონის ქ. ევდოშვილის ქუჩასა და სოხუმის ქუჩებს შორის მდებარე კვარტლის კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ.

(მოწვეული – ჯ. საჯაია).

4. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კილომეტრზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.72.14.014.566, 01.72.14.006.568, 01.72.14.014.560, 01.72.14.006.538) საუნივერსიტეტო ქალაქის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემის შესახებ.

(მოწვეულები – ლ. ყავლაშვილი, ალ. ჩიკვაიძე).

5. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ვარკეთილი 3-ის დასახლებაში არსებული ტერიტორიის ჩარჩო გეგმის შეთანხმების შესახებ.

(მოწვეული – რ. ტყემალაძე).

6. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, არდაზიანის ქ. №30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.12.011.017) ინდივიუალური საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – მ. გვარჯალაძე).

7. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ლუბლიანის ქუჩისა და ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.017.015) მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო) განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

6. მ. გვარჯალაძის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, არდაზიანის ქ. №30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.12.011.017) ინდივიუალური საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – მ. გვარჯალაძე.
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,9 ან 1,0.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია კ1=0,8.
- მისაღებია კ1=0,8.
- მისაღებია კ1=0,8.
- მისაღებია არაუმეტეს კ1=0,8.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, არდაზიანის ქ. №30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.12.011.017) ინდივიუალური საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვროს: კ1=0,8.

განხილვის შედეგი: მომხრე: 6, წინააღმდეგი: 1.

7. დ. გოგელაშვილის ინფორმაცია ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ლუბლიანის ქუჩისა და ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.017.015) მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო) განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – დ. გოგელაშვილი.
დადგენილი პარამეტრები – კ2=1,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=3,0.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები. მისაღებია მხოლოდ არსებულ გაბაროტებში.

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ლუბლიანის ქუჩისა და ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.017.015) მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო) განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=3,0.

რეკომენდაცია: კორექტირებული პროექტის მიხედვით მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 6, წინააღმდეგი: 1.

8. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გ. ჭყონდიდელის ქ. №22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.024.164) მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე ორის სართულის დაშენების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ჯ. მესხია.
დადგენილი პარამეტრები – კ2=1,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=2,2.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია. H=max 3 სართული (წარმოდგენილი მასალის შესაბამისად.
- მისაღებია არსებული, წარმოდგენილი სართულიანების შენარჩუნებით.
- მისაღებია.
- მისაღებია.

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, მაისურაძის ქ. №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.19.002.011) სასაფლაოს პირველი კლასის ადმინისტრაციული შენობისთვის და სამეურნეო საქმიანობისთვის ობიექტის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებათვის გაცემაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე არისი ბოჭოიძე

კომისიის აღმასრულებელი მდივანი კახაბერ ნიაური

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 714

27 მარტი 2012 წ.

ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩისა და ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.017.015), მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო) განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2012 წლის 21 მარტის სხდომის №11 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩისა და ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.017.015) მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე, სავაჭრო) განსათავსებლად, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=3,0.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე, ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTG22 (220101480) ა/ანგარიში GE44LB0125152101627922.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ა. ბოჭოიძეს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

აქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა